ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის

ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი **20 ნოემბერი, 2019 წელი**

17.00 საათი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე,** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვლადიმერ ნანაძე,** საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე **გიორგი ხელაძე.**

საკრებულოს წევრები: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე,** საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე **სპარტაკ კვაჭაძე,** საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე **ბესიკ კუპრაძე,** საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე **ზაზა წულაძე, ოთარ პატიეშვილი, კარლო კვიტაიშვილი, ზურაბ კუკულავა, ცისანა ურუშაძე, კახა თედორაძე, ვენე კვირკველია.**

მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე,** მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **მამუკა ვადაჭკორია,** მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ია ჩხაიძე,** მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი,** მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი **გია ნაჭყებია,** მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა,** მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **თენგიზ ხელაზე,** მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი **დავით პატარაია.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი **ნინო ძიძიგური,** საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **ნანა ბზეკალავა,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ნუნუ სულაკაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იურიდიულ საკითხებში **რუსუდან გვარჯალაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **მარიამ კუპრაძე.**

ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები და თანამშრომლები: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის სპორტული ცენტრის დირექტორი **დიტო მარშანიშვილი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის სპორტული ცენტრის ბუღალტერი **მედეა ხუხუნაიშვილი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ფაცურია,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის მთავარი ბუღალტერი **შოთა წილოსანი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორი **ლია ურუშაძე,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა

გაერთიანების ბუღალტერი **გია ორაგველიძე,** შ.პ.ს ლანჩხუთი-ს დირექტორი **ლევან იმნაძე,** შ.პ.ს ლანჩხუთი-ს ბუღალტერი **თემურ ხუხუნაიშვილი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი **დავით წერეთელი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ბუღალტერი **ანზორ როყვა,** მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამგე **ნონა იმნაძე,** მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი **ლალი რამიშვილი,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი **ვლადიმერ ჩხაიძე,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბუღალტერი **იათამზე ვადაჭკორია,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი **ნატო კობალავა,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მთავარი ბუღალტერი **მარინა ქანთარია,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა საფეხბურთო კლუბის ბუღალტერი **კახა ურუშაძე,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მომსახურებისა და კეთილმოწყობის ცენტრის დირექტორი **დავით წულაძე.**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღევანდელი შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. შეხვედრას ესწრებიან ლანჩხუთის მუნიციპალიტატის როგორც ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები და თანამშრომლები, ასევე მერიის სამსახურების უფროსები და მოქალაქეები. მათი მხრიდან წამოჭრილ შეკითხვებს შესაბამისად, პასუხებს გასცემენ მუნიციპალიტეტის მერი და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი. ასევე, გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია და შესაბამისად, პროექტი შემოტანილია. მან მიმართა დარბაზში მყოფთ, რომ ამჟამად ბიუჯეტთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამუშაო პროცესი, აქედან გამომდინარე, მათი მხრიდან წამოჭრილი შენიშვნები და წინადადებები მიღებული და გათვალისწინებული იქნება შესაძლებლობების ფარგლებში.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას შეეცადნენ მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული ის ამოცანები, რაც ზოგადად, დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვისაა საჭირო. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, 2020 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 10742000 ლარით. როგორც ცნობილია, ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილისაგან. რა თქმა უნდა, განხილვის პროცესში წამოიჭრება გარკვეული შენიშვნები და მოთხოვნები, მაგრამ წარმოდგენილი პროექტი გახლავთ დაბალანსებული, რაც კანონის მიხედვით არის მოთხოვნა. როგორც პროექტიდან ჩანს, არის გარკვეულ ფარგლებში მატებები დამატებითი ღირებულების გადასახდის ხარჯზე, სხვა მხრივ კი, მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით ძირითადად შენარჩუნებულია იგივე მაჩვენებლების დონე. აქედან გამომდინარე, დღგ-ის ზრდის ხარჯზე შესაძლებლობის ფარგლებში ამოცანების მიხედვით თანხები გადანაწილებულ იქნა კონკრეტულ ა(ა)იპ-ებსა და კონკრეტულ საბიუჯეტო ღონისძიებებზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტში არ არის წარმოდგენილი სახელფასო მატება, რადგან ამას ესაჭიროება შესაბამისი ფინანსური რესურსი. 2020 წლის სექტემბრიდან სკოლამდელ დაწესებულებებში იგეგმება ხელფასების ზრდა, რომელიც შეეხება თანამშრომლების გარკვეულ კატეგორიას და არა ადმინისტრაციას. წარმოდგენილ პროექტში ამ კუთხით შესაბამისი რესურსი არ დევს, მაგრამ მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები და როდესაც გამოვა მთავრობის შესაბამისი განკარგულება, იგი აუცილებლად უნდა შესრულდეს. იმ პერიოდისთვის, მუნიციპალიტეტი იქნება მზად შესაბამისი ფინანსების მოძიების კუთხით და რეალური შემოსავლიდან გამომდინარე, სექტემბრამდე ერთი-ორი თვით ადრე ჩამოყალიბდება კონკრეტული ამოცანები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა დონით მოხდება ხელფასების ზრდა სკოლამდელ დაწესებულებებში.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი ძირითადი შენიშვნების გათვალისწინებით უნდა დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას, ამიტომ მიმართა დამსწრე საზოგადოებას, 1 დეკემბრამდე ოფიციალურად მოაწოდონ დამატებითი წინადადებები და შენიშვნები, რათა შესაძლებლობების ფარგლებში მოხდეს მათი გათვალისწინება.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორმა **ლია ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ-ის 2019 წლის ბიუჯეტი იყო დეფიციტური. თავიდან დაფინანსდნენ 289 000 ლარით, შემდეგ კი დაემატათ 14 320 ლარი. 2020 წლის ბიუჯეტი აღნიშნულ ა(ა)იპ-ს განესაზღვრა 308 200 ლარით. ისინი სახელფასო ბიუჯეტს 16 000 ლარით ავსებენ ადგილობრივი შემოსავლიდან. მათი სახელფასო ფონდი წინა წლებთან შედარებით ძალიან მცირედითაა გაზრდილი, რადგან დამოკიდებულები არიან ბავშვთა კონტიგენტზე, მაგრამ სამხატვრო სკოლაში მატება საერთოდ არ ხდება, რადგან ბავშვების შემონატანიც არ არის. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების თანამშრომლების ხელფასი გურიის რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით გაცილებით დაბალია, რადგან ჩოხატაურსა და ოზურგეთში საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პედაგოგების ხელფასი არის 19 ლარიდან, ხოლო უმაღლესი განათლების მქონეთათვის-22 ლარიდან. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კი საშუალო- სპეციალური განათლების მქონე პედაგოგების ხელფასი არის 15 ლარიდან, ხოლო უმაღლესი განათლების მქონეთათვის -17 ლარიდან. ცხადია, რომ შეუძლებელია პედაგოგებისთვის ხელფასების ერთბაშად გაზრდა, მაგრამ კარგი იქნება, თუ მატება განხორციელდება თანდათან. მაგალითად, მომავალი წლის იანვრიდან 1 ლარით, შემდეგ სექტემბრიდან კვლავ 1 ლარით და ასე ეტაპობრივად.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია დაცვისა და სახანძრო უსაფრხოებისთვის 4 800 ლარით დაფინანსება, რომელიც არის ერთჯერადი. თბილისიდან ჩამოსულმა კომისიამ შეამოწმა სკოლები და განაცხადა, რომ თუ ამ მხრივ არ იქნებიან მოწესრიგებული, დააჯარიმებენ 10 000 ლარით.

გარდა ამისა, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორმა აღნიშნა, რომ 2017 წელს ბავშვთა შემონატანი იყო 29 000 ლარი, 2028 წელს-32 000 ლარი, 2019 წელს ეს ციფრი გაიზარდა 39 000 ლარამდე, ხოლო 2020 წლისთვის იგეგმება 41 000 ლარის შემოტანა. სამხატვრო სკოლა და თვითონ ა(ა)იპ-ს დაფინანსება მთლიანად

დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე, განსხვავებით სამუსიკო სკოლებისა, რომელთაც აქვთ წილობრივი დაფინანსება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სამხატვრო სკოლისა და (ა)იპ-ის საოფისე ხარჯებისთვის გამოეყოს 6 400 ლარი. ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დირექტორის თქმით, თუ კი იქნება გათვალისწინებული ბავშვებისა და მათი პედაგოგების მიერ მიღწეული წარმატებები და გამოინახება გარკვეული სახსრები ამ ხარჯების დასაფინანსებლად, ძალიან კარგი იქნება და მადლობელი დარჩებიან.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების საქმიანობა მართლაც რომ ნაყოფიერი და წარმატებულია, რაც ციფრებზეც აისახება. 2017 წელს შენატანი იყო 29 000 ლარი, ხოლო 2020 წლელს იგეგმება მისი ზრდა 41 000 ლარამდე, რისთვისაც მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში შეეცდებიან დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა **დავით წერეთელმა** აღნიშნა, რომ სუფსის თეატრში მოეწყო სცენა, განათება და მომავალ წელს იგეგმება გახმოვანების აპარატურის შეძენა, მაგრამ ყველაფერ ამის მომსახურებას ესაჭიროება პიროვნებები ანუ საჭიროა შტატების დამატება. ასევე, მამათში იგეგმება პედაგოგების და ქორეოგრაფების გაგზავნა, რომლებიც შექმნიან ბავშვებისთვის სხვადასხვა შემოქმედებით წრეებს, რაც ცალკე თანხას შემოიტანს. აუცილებლად საჭიროა მუშაობა იმ კუთხით, რომ ადამიანები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ ათ წელზე მეტია, თუნდაც 50 ლარით მაინც მოემატოთ ხელფასები. ამასთან ყავთ თანამშრომლები-მოცეკვავეები, რომელთა ანაზღაურება შეადგენს 60 ლარს. ხშირად ისმის, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში ბევრი თანამშრომელია. მოხდეს ამ საკითხის ერთობლივად განხილვა და თუკი შეთანხმდბიან იმაზე, რომ რომელიმე შტატი ზედმეტია, ამის მიხედვით მოხდეს მათი შემცირება, მაგრამ ასევე არ უნდა დაივიწყონ, რომ ყოველი ადამიანის უკან დგას ოჯახი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ ტარდება სხვადასხვა ფოლკლორული თუ საერთაშორისო თაეტრალური ფესტივალები, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში ანუ მუნიციპალიტეტში კულტურის სფერო ვითარდება. ამასთან, იგი ურთიერთკავშირში უნდა იყოს ტურიზმთან, რაც თავისთავად დაკავშირებულია ხარჯების ზრდასთან. მუნიციპალიტეტის მხრიდან ნამდვილად გრძნობენ ყურადღებას და ბევრიც გაკეთდა, თუმცა კულტურა მაინც ცუდ დღეშია, მაგრამ მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მოახერხეს და 2018 წელს მათ მიერ შენატანი 10 000 ლარით გაიზარდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საჭიროა მეტი მუშაობა და სტაბილური, გეგმიური ნაბიჯების გადადგმა განვითარებისკენ, რათა მიაღწიონ სასურველ შედეგს. ამასთან, აუცილებელია როგორც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, ასევე მოქალაქეების მეტი ჩართულობა გამართულ კულტურულ ღონისძიებებთან მიმართებაში. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ანსამბლების წევრებისთვის საჭიროა ფორმების შეკერვა. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება მოიცავს 18 ბიბლიოთეკას. თითოეულ მათგანს ესაჭიროება სახანძრო უსაფრხოების უზრუნველყოფა და რაც მთავარია, მისახედი და გასარემონტებელია თეატრის შენობა, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია და არაა გამორიცხული, რომ ერთხელაც რაიმე სავალალო შემთხვევა არ მოხდეს.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ კულტურა მნიშვნელოვანი სფეროა. მას მეტი ყურადღება და ხელშეწყობა ესაჭიროება. ისიც მართალია, რომ ყოველი ადამიანის უკან ოჯახებია, მაგრამ იმ თანამშრომლებთან მიმართებაში, რომლებიც ნაკლებ დატვირთულები არიან და თითქმის არაფერს არ აკეთებენ, უნდა გატარდეს სხვა ზომები და უკეთესია იმ სფეროში დასაქმდნენ, სადაც მართლაც საქმეს გააკეთებენ. მისი თქმით, პარლამენტში დაისვა საკითხი კულტურის სფეროს წარმომადგენლების, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების თანამშრომლების ხელფასების მატებასთან დაკავშირებით. ჯერ-ჯერობით კონკრეტულად არაფერია განსაზღვრული, მაგრამ მიდის ამ კუთხით მუშაობა.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ მოთხოვნები მრავალფეროვანია, მაგრამ საჭიროა რეალობის გათვალისწინებით ერთობლივად შეჯერდნენ და განსაზღვრონ კონკრეტული ამოცანები, რის მიხედვითაც მოხდება ფინანსების გადანაწილება. საერთო ჯამში, ურთიერთთანამშრომლობის შედეგად უნდა გაკეთდეს მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა **ვლადიმერ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ გასულ წელს მთავრობის მხრიდან იყო დავალება C-ჰეპატიტის პრევენციის მიზნით განხორციელებულიყო სკრინინგი. ამ მიზნით მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი შემოსავლებიდან აღნიშნულ ა(ა)იპ-ს 17 500 ლარი გამოუყო, რომელიც უნდა ათვისებულიყო ერთ წელიწადში, მაგრამ თანხის გამოყოფა და შესაბამისად, მოსახლეობის სკრინინგი დაიწყო ივლისის თვეში. ფაქტიურად, მთელი წლის სამუშაოს განხორციელება უწევთ რამდენიმე თვის განმავლობაში.

გარდა ამისა, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ შენობა, რომელშიც განთავსებულია ა(ა)იპ, არის ამორტიზირებული და არ ექვემდებარება რემონტს. ამასთან, არანაირ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს არ შეესაბამება. აბსოლიტურად ყველა კომუნიკაცია-ელექტრო იქნება ეს თუ წყალგაყვანილობა, მწყობრიდანაა გამოსული. შენობა არაერთხელაა შემოწმებული და დათვალიერებული გურიის გუბერნიის წარმომადგენლებისა თუ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ. სრულიად შეუსაბამობაა, როცა ა(ა)იპ, რომელიც სხვების სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს ამოწმებს და მიუთითებს, თავად განთავსებული იყოს ასეთ შენობაში. გარდა ამისა, არ გააჩნიათ შესაბამისი ინვენტარი და ტექნიკა. მან ასევე აღნიშნა, რომ მისი თანამშრომლები არიან მაღალი პროფესიონალები და ასრულებენ სპეციფიკურ სამუშაოს. ამასთან, ყველასთვის ცხადია მუნიციპალიტეტის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა, მაგრამ მისი თხოვნაა, თუკი ეს ბიუჯეტში არ გამოიწვევს სერიოზულ ცვლილებებს, შესაძლებლობების ფარგლებში მოხდეს თანამშრომლებისთვის ხელფასების მინიმალური მატება.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ როცა ქალბატონი ია ჩხაიძე გახლდათ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, მათი ა(ა)იპ ყოველ სამ თვეში აღნიშნულ კომისიას აბარებდა ანგარიშს. მისი თქმით, ვინმე აუცილებლად უნდა ინტერესდებოდეს მათი საქმიანობით, რადგან ჯანმრთელი მოსახლეობა კულტურითაც ინტერესდება და სპორტითაც. ასევე, აქტიურად ერთვება და მონაწილეობს ამათუიმ კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებში.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში C-ჰეპატიტის პრევენციის მიზნით ადგილობრივი შემოსავლებიდან გამოიყო 17 500 ლარი. ეს არის დელეგირებული უფლებამოსილება, მაგრამ წელს მთავრობის მხრიდან ამ კუთხით არანაირი დავალება არ მიუღიათ. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ არც ერთ წარმოდგენილ ბიუჯეტში არაა გათვალისწინებული კაპიტალდაბანდებები, არამედ ეს არის აუცილებელი ხარჯები და ხელფასები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი არ შეიძლება იმყოფებოდეს ასეთ ავარიულ შენობაში. მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რომ აუცილებლად მოხდეს შენობის ეტაპობრივად გარემონტება. რაც შეეხება სკრინინგს, მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორს ამ კუთხით მათ მიერ განხორციელებული საქმიანობისთვის, რადგან მისი თქმით, ყველამ უნდა ჩაიტაროს გამოკვლევა, რათა დროულად იქნას გამოვლენილი დაავადებები და შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან დაავადების პრევენციის მიზნით მოხდეს სათანადო ღონისძიებების გატარება, მით უმეტეს, რომ უპრეცენდენტო შემთხვევაა, როცა კვლევები არის უფასო.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დირექტორმა **ნატო კობალავამ** აღნიშნა, რომ უნდა შეეცვალათ მენიუ, რადგან ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, იგი ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც მისი მრავალფეროვნება არ ნიშნავს იმას, რომ იგი არის კალორიულობასთან შესაბამისობაში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ახალსა და ძველ მენიუს შორის ფინანსურმა სხვაობამ შეადგინა 170 000 ლარი. ამასთან, იგი არის არა 1200, არამედ 1000 ბავშვზე, ამიტომ რაიმე ეკონომიაც ვერ მოხერხდება. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის თქმით, 100 000 ლარის დამატებით, რომელზეც მას ქონდა საუბარი მუნიციპალიტეტის მერთან, მოხერხდება მხოლოდ ძირეული პრობლემების მოგვარება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ თავის დროზე სკოლამდელ დაწესებულებებში არასწორად იყო გათვლილი ხელფასები, რომლის მოწესრიგებამაც გამოიწვია 100 000 ლარზე მეტი ხარჯი, მაგრამ ამ ადამიანებს აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა და ნამდვილად საამაყოა საბავშვო ბაღში მუშაობა. რაც შეეხება კაპიტალხარჯებს, ტენდერი გამოცხადებული იყო დაახლოებით 100 000 ლარზე და მოგებულია 88 000 ლარის ფარგლებში. შესაბამისად, მიმდინარეობს რეაბილიტაცია. სავარაუდოდ, მომავალ წელს ამდენი ხარჯი არ დაჭირდებათ. ხელფასების მატებასთან დაკავშირებით, იგი არ შეეხება ამ ბიუჯეტს, აქედან გამომდინარე, ამ ორმილიონ ნახევარი ლარის ფარგლებში შიდა რესურსების ხარჯზე უნდა გააგრძელონ ფუნქციონირება. რაც შეეხება, ბავშვთა კვებას, მუნიციპალიტეტის ბაღებში მენიუ, რამდენადაც მისთვისაა ცნობილი, ერთ -ერთი საუკეთესო და მოწესრიგებულია არა მარტო გურიაში, არამედ საქართველოს მასშტაბით. მთავარია გამოირკვეს, თუ რა დარღვევას აქვს ადგილი, რათა იგი დროულად გამოსწორდეს და მზადაა, სხვას მოაკლოს თანხა და დაემატოს ბაღებში მენიუს გასაუჯობესებლად, ოღონდ კი ბავშვებს ჰქონდეთ რაც შეიძლება კალორიული კვება.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დღგ-ის ხარჯზე დაახლოებით 500 000 ლარით არის ზრდა. როგორც ცნობილია, გათანაბრებითი ტრანსფერი მოიხსნა. შემოსავლების გადანაწილებაში შევიდა ცვლილება და საბოლოოდ ასე ჩამოყალიბდა: დღგ-ს 19% ნაწილდება თვითმმართველობებზე, აქედან, აღნიშნული 19%-ის 50% ერგება ქალაქ თბილისს, ხოლო 50% ნაწილდება დანარჩენ თვითმმართველობებზე. ასეთი გადანაწილების შედეგად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ხვედრითი წილი არის 0,74%, რამაც გამოიწვია მუნიციპალიტეტის მთლიანი შემოსავლის 5,8%-ით ზრდა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის განმარტებით, მაქსიმალურად იქნა გადანაწილებული ის, რის საშუალებაც იყო ფინანსურად. ამასთან, არა მოთხოვნების მიხედვით, არამედ რეალობიდან და არსებული რესურსიდან გამომდინარე. მაგალითისთვის აღნიშნა, რომ ურთულესი მდგომარეობაა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მომსახურებისა და კეთილმოწყობის ცენტრში. კერძოდ, ტექნიკის გარკვეული ნაწილი მოძველებულია. პრობლემას ქმნის ის ფაქტიც, რომ სპეცტექნიკის რემონტი, რომელსაც ესაჭიროება სპეციფიკური დეტალების შეცვლა, ჯდება ღირებულების დაახლოებით 50%. დღეისთვის ამ ა(ა)იპ-ის თანხა არ გააჩნია ტექნიკური მოვლისთვის იქნება ეს თუ ტექ-დათვალიერებისა და სათადარიგო ნაწილების შეძენა-რემონტისთვის.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მომსახურებისა და კეთილმოწყობის ცენტრის დირექტორის **დავით წულაძის** განცხადებით, მათი მხრიდან რა მოთხოვნაც იყო, წარმოდგენილ პროექტში შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი ძირითადად გათვალისწინებულია, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიას. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ ძირითად პრობლემას წარმოადგენს სპეცტექნიკის რემონტი, რადგან ავტოსახელოსნოებში გაცილებით იაფი ღირს მათი შეკეთება, ვიდრე ეს ,,თეგეტა-მოტორსი“-ს მიერ მომსახურების გაწევის შემთხვევაში. მაგალითად, გადაცემის კოლოფის შეცვლა დაახლოებით 22 000 ლარი დაჯდა, რაც სარემონტო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხის უმეტეს ნაწილს შეადგენს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მისი თხოვნაა, რომ სათადარიგო ნაწილების შეძენა-რემონტისთვის შეძლებისდაგვარად გაიზარდოს თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, რადგან ყოველდღიურად მუნიციპალიტეტის მასშტაბით 1000-მდე ურნის დასუფთავება ხდება.

გარდა ამისა, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მომსახურებისა და კეთილმოწყობის ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ მთელს მუნიციპალიტეტში გარე განათების მოვლა-პატრონობას ემსახურებიან. ამასთან, ყველა სოფლებმა მოითხოვა ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გარე განათების დამონტაჟება. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ცენტრს არ ყავს სპეციალური მანქანა, რათა მოემსახუროს გარე განათების სარეაბილიტაციო სამუშაოებს. მართალია, მუნიციპალიტეტის მიერ თანხა მოძიებულ იქნა, რისთვისაც მადლობელები არიან, მაგრამ მანქანა, რომლის შეძენასაც აპირებდნენ, ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტებს, რის გამოც მთავრობამ არ მისცა მისი ყიდვის უფლება, არადა შედარებით ახალი მანქანა გაცილებით ძვირი ღირს. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტში აუცილებლად გასათვალისწინებელია აღნიშნული მანქანის შესაძენი თანხა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მომსახურებისა და კეთილმოწყობის ცენტრის დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ შენობა, სადაც განთავსებულია ა(ა)იპ, გასარემონტებელია, კერძოდ, შესაკეთებლია სახურავი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მომსახურებისა და კეთილმოწყობის ცენტრი ახორციელებს ძალიან ნაყოფიერ საქმიანობას, რასაც ყველა ხედავს და მუნიციპალიტეტსაც დაეტყო, რისთვისაც მათ მადლობა გადაუხადა, რის შემდეგ აღნიშნა, რომ გაზრდილია თანხები ტრანსპორტის რემონტის კუთხით. ასევე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" გაორმაგებული თანხებით დაბრუნდა, რომლის ფარგლებში თითქმის ყველა სოფელმა მოითხოვა გარე განათების გაკეთება, რამაც თავისთავად გამოიწვია ელექტროენერგიის ხარჯის გაზრდა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ისინი ასევე ვერ იქნებიან ვალდებულები, წყალგაყვანილობის სისტემას სრულად მოუარონ, არამედ უნდა შეეცადონ მოვლის კუთხით მინიმალური დარღვევებისა და მცირე პრობლემების მოგვარებას.

შ.პ.ს ლანჩხუთი-ს დირექტორმა **ლევან იმნაძემ** აღნიშნა, რომ 2020 წლისთვის მათი ბიუჯეტი განისაზღვრა 160 000 ლარით, მაგრამ აქედან 32 000 ლარით ხდება მიწისა და ქონების გადასახადის გადაფარვა. აქედან გამომდინარე საბოლოოდ აღნიშნული თანხა უბრუნდება მუნიციპალიტეტს. მისი თხოვნაა, რომ თუკი შესაძლებელია, ეს 32 000 ლარი სრულად დაუბრუნდეს შ.პ.ს ლანჩხუთს.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმატრა, რომ შემოსავლები ხაზინაში დევს ერთ ანგარიშზე, საიდანაც ხდება თანხების გადანაწილება ხარჯების მიხედვით. გარდა ამისა, შ.პ.ს ლანჩხუთს აკისრია გარკვეულწილად მომსახურების ფუნქცია, ამიტომ იმ სუბიექტებისგან, რომელთაც მოემსახურებიან, ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე უნდა მიიღონ შესაბამისი გასამრჯელო. ამასთან, მიწასთან დაკავშირებით, რომელზეც განთავსებულია სტადიონი, რაც შესაძლებელია გაკეთდეს, ისაა, რომ მოხდეს კოეფიციენტის დაწევა 1%-დან მაგალითად 0,1%-მდე.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ყველას მცდელობა და ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ მუნიციპალიტეტში რაც შეიძლება მეტი გაკეთდეს, მაგრამ რეალობის და შესაძლებლობის გათვალისწინებით მაქსიმალურად უნდა მოერგონ სიტუაციას. ამასთან, თუკი წლის განმავლობაში რაიმე რესურსი დამატებით გამოჩნდება, აუცილებლად ოპტიმალურად გადანაწილდება, მაგრამ რაც მთავარია, ეფექტურად უნდა მოხდეს ხარჯვა.

ამით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა დასრულდა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**